საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

წყალმომმარაგებელი საწარმოების გამოკვლევა 2018

01.07.2019

www.geostat.ge



01.07.2019

წყალმომმარაგებელი საწარმოების გამოკვლევა

(2018 წელი)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2018 წელს საქართველოში წყალმომარაგებით საქმიანობას ახორციელებდა 22 საწარმო, რომელთა მიერ შინამეურნეობებისთვის მიწოდებული წყლის მოცულობამ 221.9 მილიონი $მ^3$ შეადგინა, რაც 0.7 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 2.45 მილიონი (65.8 %), რაც 0.2 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული მოსახლეობის წილი 2015-2018 წლებში (დიაგრამა № 1).

დიაგრამა №1

წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული მოსახლეობა (%)



2018 წელს წყალარინების (კანალიზაციის) ქსელზე მიერთებული მოსახლეობის რიცხოვნობა წინა წელთან შედარებით 1.4 პროცენტით გაიზარდა და 1.81 მილიონი (48.6 %) შეადგინა, ხოლო ჩამდინარე წყლის გამწმენდ ნაგებობაზე მიერთებული მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა 0.6 პროცენტით და 1.34 მილიონს (36.0 %) მიაღწია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია წყალარინების ქსელზე მიერთებული მოსახლეობის წილი (დიაგრამა №2) და ჩამდინარე წყლის გამწმენდ ნაგებობაზე მიერთებული მოსახლეობის წილი (დიაგრამა №3) 2015-2018 წლებში.

დიაგრამა №2



დიაგრამა №3

ჩამდინარე წყლის გამწმენდ ნაგებობაზე მიერთებული მოსახლეობა (%)



შენიშვნა: შესაბამისი წყაროებიდან მიღებული დაზუსტებული ინფორმაციის საფუძველზე განხორციელდა 2015-2017 წლების მონაცემების დაზუსტება.

საკონტაქტო პირები:
ვასილ წაქაძე, ტელ: (+995 32) 236 72 10 (500), E-mail: vtsakadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge